საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება N 175

05/06/2014

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის I, VIII, X და XII სართულების წინასწარ განსაზღვრული ფართის სასყიდლიანი იჯარის ფორმით სარგებლობის წესით, ელექტრონული აუქციონის საშუალებით (სწრაფი გადახდის აპარატის, ყავისა და პროდუქტის აპარატ-ავტომატების განთავსებისათვის) გადაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის და „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანების შესაბამისად და საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს ელექტრონული აუქციონი ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის I, VIII, X და XII სართულების წინასწარ განსაზღვრული ფართის სასყიდლიანი იჯარის ფორმით სარგებლობის წესით, ელექტრონული აუქციონის საშუალებით (სწრაფი გადახდის აპარატის, ყავისა და პროდუქტის აპარატ-ავტომატების განთავსებისათვის) გადაცემის მიზნით.
2. დამტკიცდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის I, VIII, X და XII სართულების წინასწარი განსაზღვრული ფართის სასყიდლიანი იჯარის ფორმით სარგებლობაში გადცემის ინფორმაცია,
3. ელექტრონული აუქციონი ჩატარდეს 2014 წლის 19 ივნისის 13:00 სთ - დან 27 ივნისის 13:00 სთ - მდე.
4. ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისად, ასევე ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე ამ ბრძანებით დამტკიცებული ინფორმაციის გამოქვეყნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე (www.mof.ge) და სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე (www.eauction.ge).
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს გიორგი ჯავახიშვილს.

ნოდარ ხადური

მინისტრი